ქროს ჯორჯია ედვენჩერი 2026

დამატებითი წესები

1. ღონისძიების აღწერა

1.1 ღონისძიების დასახელება

Cross Georgia Adventure წარმოადგენს 3 დღიან სათავგადასავლო შეჯიბრს, რომელიც ტარდება სპეციალურად დაგეგმილ არასაერთო და საერთო მოხმარების გზებზე. შეჯიბრი მოიცავს ტყის ბილიკებს, აღმართებს, დაღმართებს, ტექნიკურ დაბრკოლებებსა და საშუალო სირთულის რელიეფის სხვა მონაკვეთებს, რაც მიმართულია სპორტსმენის გამძლეობის, ტექნიკური შესაძლებლობების, ნავიგაციის უნარებისა და მოტოციკლის საიმედოობის შემოწმებაზე.

1.2 შეჯიბრის თარიღი

შეჯიბრი ჩატარდება:

06–08 აგვისტო, **2026**

1.3 შეჯიბრის ლოკაცია

შეჯიბრის სასტარტო, ფინიშისა და ადმინისტრაციული კონტროლის ლოკაციები მოგვიანებით გახდება ცნობილი და გამოქვეყნდება ორგანიზატორის/პრომოუტერის ოფიციალური საინფორმაციო არხების მეშვეობით.

---

2. შეჯიბრის ფორმატი

2.1 საშეჯიბრო დღეები

შეჯიბრი შედგება სამი (3) დამოუკიდებელი საშეჯიბრო დღისგან.

თითოეული დღე მოიცავს ინდივიდუალურ GPS ტრეკს, ტექნიკურ მონაკვეთებსა და შესაბამის ფინიშის სისტემას.

2.2 დროითი ლიმიტი

თითოეული საშეჯიბრო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება:

8 საათით.

ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს დროითი ლიმიტი უსაფრთხოების, ამინდის ან ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით.

2.3 ფინიშების სისტემა

თითოეული საშეჯიბრო დღე დაყოფილია შემდეგ ფინიშებად:

- ბრინჯაოს ფინიში (**Bronze Finish**)
- ვერცხლის ფინიში (**Silver Finish**)
- ოქროს ფინიში (**Gold Finish**)

ფინიშის კატეგორიას ენიჭება უპირატესობა ქულებთან მიმართებაში.

3. რეგისტრაცია და ლიცენზირება

3.1 ღონისძიებაზე რეგისტრაცია

ღონისძიებაზე რეგისტრაცია განხორციელდება:

www.motofederation.ge

3.2 რეგისტრაციის საფასური

ღონისძიებაზე რეგისტრაციისა და ერთჯერადი სალიცენზიო გადასახადის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად:

350 ლარი – 10 ივლისის ჩათვლით
(ღონისძიებაზე რეგისტრაცია + ერთჯერადი ლიცენზია)

550 ლარი – 31 ივლისის ჩათვლით
(ღონისძიებაზე რეგისტრაცია + ერთჯერადი ლიცენზია)

850 ლარი – 01–04 აგვისტო
(ღონისძიებაზე რეგისტრაცია + ერთჯერადი ლიცენზია)

3.3 რეგისტრაციის დასრულება

რეგისტრაცია დასრულდება:

4 აგვისტო, 2026 – 18:00 საათზე

რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად მხოლოდ:

- **სარეგისტრაციო ფორმის სრულყოფილად შევსების;**
- **სალიცენზიო რეგისტრაციის დასრულების;**
- **შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ.**

3.4 სარეგისტრაციო და სალიცენზიო თანხის უკან დაბრუნება:

დაბრუნების წესი

მონაწილის მიერ გადახდილი სარეგისტრაციო საფასური დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორის გადაწყვეტილებით შეჯიბრი გაუქმდება.

ამ შემთხვევაში, მონაწილეებისთვის დასაბრუნებელი თანხა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: საერთო შემოსული სარეგისტრაციო თანხიდან გამოიქვითება შეჯიბრის ორგანიზებისთვის უკვე გაწეული და დადასტურებული ხარჯები, ხოლო დარჩენილი თანხა თანაბრად განაწილდება რეგისტრირებულ მონაწილეებს შორის.

ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის მონაწილის მიერ რეგისტრაციის გაუქმების, შეჯიბრში მონაწილეობისგან უარის თქმის ან შეჯიბრზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. ადმინისტრაციული და ტექნიკური კონტროლი

4.1 ადმინისტრაციული კონტროლი

ადმინისტრაციული კონტროლის დრო და ლოკაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ადმინისტრაციულ კონტროლზე მონაწილე ვალდებულია წარადგინოს:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მართვის მოწმობა;
- ღონისძიებაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი ინფორმაცია;

4.2 ტექნიკური კონტროლი

ტექნიკურ კონტროლზე მოხდება:

- მოტოციკლის ვიზუალური ინსპექტირება;
- უსაფრთხოების მოთხოვნების გადამოწმება;
- **GPS** მოწყობილობის შესაბამისობის გადამოწმება;
- სავალდებულო ეკიპირების კონტროლი.

ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაუშვას ტექნიკურად გაუმართავი მოტოციკლი შეჯიბრზე.

5. ბრიფინგი

5.1 სავალდებულო ბრიფინგი

ყველა მონაწილისთვის ბრიფინგზე დასწრება სავალდებულოა.

ბრიფინგის ზუსტი დრო და ლოკაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ბრიფინგზე განიხილება:

- დღის მარშრუტი;
- უსაფრთხოების საკითხები;
- **Support Zone**-ები;
- საწვავის ზონები;
- დროითი შეზღუდვები;
- განსაკუთრებული ტექნიკური მონაკვეთები.
- სხვა შეჯიბრთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ბრიფინგზე არდასწრება შეიძლება გახდეს შეჯიბრზე არდაშვების საფუძველი.

6. სასტარტო პროცედურა

6.1 პირველი საშეჯიბრო დღე

პირველი დღის სასტარტო განლაგება განისაზღვრება რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით.

6.2 მეორე და მესამე დღე

მეორე და მესამე დღის სასტარტო განლაგება განისაზღვრება წინა დღის შედეგების მიხედვით.

6.3 სასტარტო ინტერვალი

მონაწილეები სტარტს აიღებენ ინდივიდუალურად:

30 წამიანი ინტერვალით

6.4 დაგვიანება

მონაწილე, რომელიც არ გამოცხადდება მისთვის განსაზღვრულ სასტარტო დროს, სტარტს აიღებს გამოცხადებისთანავე, თუმცა დროის ათვლა დაიწყება მისთვის განსაზღვრული ოფიციალური სასტარტო დროიდან.

7. GPS, Support Zone და საწვავის პუნქტები

7.1 GPS ტრეკი

ყოველი საშეჯიბრო დღის დაწყებამდე მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი დღის **GPS** ტრეკი.

7.2 Support Zone / Refuel Zone

Support Zone-ებისა და საწვავის პუნქტების ადგილმდებარეობა წინასწარ განისაზღვრება და მონაწილეებს მიეწოდებათ:

- **GPS** მოწყობილობაში
- საინფორმაციო არხების მეშვეობით

7.3 აკრძალული დახმარება

საშეჯიბრო მონაკვეთზე გარეშე პირის დახმარება აკრძალულია, გარდა ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული ზონებისა.

8. სავალდებულო და რეკომენდირებული ეკიპირება

8.1 სავალდებულო ეკიპირება

შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენი ვალდებულია აღჭურვილი იყოს:

სავალდებულო:

- **GPS** მოწყობილობა;
- **GPS** სამაგრი მოტოციკლზე;
- მობილური ტელეფონი;
- **GPS/**მობილურის სარეზერვო ელემენტი ან **Power Bank;**
- მოტოციკლის ინსტრუმენტების ჩანთა;
- მოტობოტი;
- ჩაფხუტი;
- ხელთათმანი;
- წყლის რეზერვუარი (**Camelbak**);
- სათვალე;
- სანთებელა ან ასანთი.

8.2 რეკომენდირებული ეკიპირება

მონაწილეთათვის რეკომენდირებულია დამატებით იქონიონ:

- გულმკერდის დამცავი;
- სამუხლე;
- საიდაყვე;
- საწვიმარი;
- თოკი;
- სარეზერვო კამერა ან საბურავის შეკეთების კომპლექტი;
- სარეზერვო საწვავი.

9. ოფიციალური განცხადებები

შეჯიბრთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება, დამატებითი ინფორმაცია, ლოკაცია, განრიგი ან უსაფრთხოების ინსტრუქცია გამოქვეყნდება ორგანიზატორის ოფიციალური საინფორმაციო არხების მეშვეობით და ჩაითვლება ოფიციალურად ძალაში შესულად გამოქვეყნებისთანავე.

10. საბოლოო დებულება

ქროს ჯორჯია ედვენჩერი **2026**-ზე რეგისტრაციით მონაწილე ადასტურებს, რომ:

- გაეცნო ქროს ჯორჯია -ს ზოგად რეგლამენტსა და დამატებითი წესებს;
- აცნობიერებს შეჯიბრთან დაკავშირებულ რისკებს;
- იღებს სრულ პირად პასუხისმგებლობას;
- ემორჩილება ორგანიზატორისა და მსაჯთა კომისიის გადაწყვეტილებებს.